ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

N 5 ოქმი

13.04.2022

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი

თვითმმართველობის შენობა

რუსთაველის გამზირი N3

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ბატონი მამუკა რიჟამაძე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თეიმურაზ ნადირაძე, დიმიტრი მხეიძე, ელეონორა არჩაია, მაგდა კოსტავა, მანანა ჩიხლაძე, მერაბ ჭოხონელიძე, გრიგოლ შუშანია.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ქალბატონი თამარ მინაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

სხდომა გახსნა საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა მამუკა რიჟამაძემ: მოგესალმებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული გვაქვს ორი საკითხი:

1. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის 3 თვის ანგარიში ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.

2. ანგარიში სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების რაოდენობის და მათი შესახლების შესახებ

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხს წარმოგვიდგენს ბატონი ვარლამ გობეჯიშვილი.

ვარლამ გობეჯიშვილი: 2022 წელს, სოციალურ საკითხთა სამსახური მოსახლეობის დაავადებათა პრევენციის, შემდგომი მკურნალობის ხელშემწყობის და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ფარგლებში, ,,ქალაქ ქუთაისის მუნუციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის" შესახებ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5 დადგენილების საფუძველზე ახორციელებს 31 ქვეპროგრამას. დახმარებით სარგებლობენ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, ესენია: შშმ პირები, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველი ოჯახები, მრავალშვილიანი მშობლები, დღის ცენტრით მოსარგებლე ბენეფიციარები.

2022 წლის ბიუჯეტი შეადგენს 5 430, 000 ლარს.

მიმდინარე წლის 3 თვის (იანვარი, თებერვალი, მარტი) განმავლობაში დაიხარჯა 1 094 580,67 ლარი.

საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა 3 450 განცხადება (წერილი) .

1 „სამედიცინო დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 900,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და განსაკუთრებული შემთხვევის შედეგად დაავადებული გადახდისუუნარო პირების სამედიცინო მომსახურებას, დიაგნოსტიკის და შემდგომი მკურნალობის ხარჯის (თანადაფინანსების პრინციპით) ანაზღაურებას.

დახმარებით ისარგებლა 863 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 284 535,38 ლარი.

2. „მედიკამენტებით უზრუნველყოფა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 330,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 65000–მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესა¬ურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები, რომლებსაც ჰყავთ 3 და მეტი შვილი, ან მიეკუთვნებიან 65 წელს ზემოთ ასაკის პირებს, ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები და მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი სტატუსის მქონე პირები.

დახმარებით ისარგებლა 546 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 58 465, 03 ლარი.

3.,,ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 50,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული ეპილეფსიით დაავადებული პირები.

დახმარებით ისარგებლა 88 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 9671,04 ლარი.

4 „ლეიკოზით და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 55,,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში 0-18 წლამდე ასაკის ლეიკოზით დაავადებულ პირებს, გაეწიათ მატერიალური დახმარება, თითოეულს თვეში 200 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 21 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 12 600 ლარი

5 „ფენილკეტონურიითა და ცელიაკიით დაავადებულ პირთა დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 48,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე, ფენილკეტონურიითა და ცელიაკით დაავადებულ არასრულწლოვან პირებს, მატერიალური დახმარება გაეწევათ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ხოლო სრულწლოვან პირებს პირადი განცხადების მომართვის საფუძველზე, საბიუჯეტო წლის ბოლომდე. დახმარების ოდენობა განისაზღვრება თვეში 200 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 16 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 7600 ლარი.

6. „სარიტუალო დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 20,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული გარდაცვლილი ვეტერანის დასაფლავების ხარჯის ანაზღაურება, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

ქვეპროგრამა ასევე გულისხმობს ქ. ქუთაისში რეგისტრირებული პირების სარიტუალო მომსახურებას, რომლებიც გარდაიცვალნენ „კოვიდ-19" დიაგნოზით სამედიცინო დაწესებულებაში, ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 5 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1500 ლარი.

7. „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 990,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმდინარე პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარებით ისარგებლა მრავალშვილიანმა 623 ოჯახმა. მათ შორის:

მეოთხე და მომდევნო ბავშვის შეძენაზე დახმარებით ისარგებლა 11 ოჯახმა.

ერთჯერადი მატერიალური დახმარებით ისარგებლა 187 მრავალშვილიანმა ოჯახმა.

„მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მოხმარებული ელ/ენერგიის თანადაფინანსებით მიმდინარე პერიოდში ისარგებლა 109 ოჯახმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 332 780 ლარი.

8. ,,შინმოვლა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 60,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ქ. ქუთაისში რეგისტრირებული 100 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრები, რომელთათვისაც „უძლურების შეფასების ბართელის კითხვარის“ მიხედვით მინიჭებული ქულა /შემდგომში – ბართელის ინდექსი/ არ აღემატება 95 ერთეულს, არიან მწოლიარენი ან/ და საჭიროებენ სამედიცინო მანიპულაციებს საცხოვრებელ ადგილზე.

დახმარებით ისარგებლა 60 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 5338,84 ლარი.

9 „სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 40,0 ათასი ლარი.
ქვეპროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის და ბუნებრივი აირის ხარჯი.
დახმარებით ისარგებლა 89 ოჯახმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 13 803,97 ლარი.

10 ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 130,0 ათასი ლარი.
აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი, 70 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, ოჯახების მიერ მოხმარებული ელექტროენერგის ღირებულების თანადაფინანსება, სულადობის მიხედვით და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო თანხების დაფინანსებას.

ბენეფიციართა იდენტიფიცირება ხორციელდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად წარმოდგენილი მონაცემთა ბაზის საფუძველზე.

დახმარებით ისარგებლა 2643 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 40 104 ლარი.

11 ,,განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 17 0,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ (მცხოვრებ) 18 (თვრამეტი) წლის ბენეფიციარს, რომელიც იმყოფებოდა სახელმწიფო მზრუნველობაში და სრულწლოვანების გამო შეუწყდა სახელმწიფოს მხრიდან მომსახურება.დახმარება ბენეფიციარზე შეადგენს, თვეში 200 ლარს.
ბიოლოგიურ ოჯახში, თითოეულ რეინტეგრირებულ ბავშვს, თვეში 200 ლარის ოდენობით.

ჰემოდიალიზზე მყოფ პირს, მუდმივად სამკურნალო დაწესებულებაში ტრანსპორტირებისა და სხვა სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით დახმარება შეადგენს თვეში 100 ლარს.
დახმარებით ისარგებლა 119 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 41 200 ლარი.

12. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 63,0 ათასი ლარი.

დახმარებით სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამებით - „ბავშვთა ადრეული განვითარების" და „დღის ცენტრის" მომსახურებით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები. პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება თვეში 60 ლარის ღირებულების, ჰიგიენური საფენების („პამპერსი") და სველი სალფეთქების შეძენა.
დახმარებით ისარგებლა 349 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 18 367,93 ლარი

13 . „სოციალური ღონისძიებები "

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 595,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის, ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებების მოწყობას.
დახმარებით ისარგებლა 106 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ 19683.82 შეადგინა ლარი.

14. „კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 20,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, აბსოლიტური სიყრუის მქონე და ყრუ-მუნჯი ბავშვებისათვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაკეთებული ოპერაციის შემდგომ, კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ქ. ქუთაისში რეგისტრირებული/მცხოვრები 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის ფარგლებში კოხლეარული იმპლანტის აპარატის შეუფერხებელი ფუნციონირებისათვის საჭირო ნაწილების შეძენის თვალსაზრისით, ბენეფიციარს გაეწია დახმარება.ანაზღაურდა კვების წყაროსათვის საჭირო ელემენტის ღირებულება – თვეში 95 ლარის ოდენობით და პროცესორისა და მიკროფონის შემაერთებელი სადენის ღირებულება – ექვს თვეში ერთხელ, 150 ლარის ოდენობით.

დახმარებით ისარგებლა 11 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 3915 ლარი

15. „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 863,3 ათასი ლარი.
ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწევათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ/ მცხოვრებ 2-15 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა ძირითადი დიაგნოზია (ICD-10) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები (F84.0 – F84.9).

ქვეპროგრამის ფარგლებში, ანაზღაურდება სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების (სამი ორგანიზაცია) მიერ აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებისათვის გაწეული მომსახურება.

დახმარებით ისარგებლა 261 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 160 986,0 ლარი.

16. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარების და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 18,0 ათასი ლარი.
ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში მოქმედი 0-18 და 18 წლის ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებზე და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში, განხორციელდა მომსახურების მიმწოდებელი 8 ორგანიზაციისათვის,თანადაფინანსების პრინციპით კომუნალური ხარჯების (ელექტროენერგია, ბუნებრივი აირი და წყალი) ანაზღაურება.

დახმარებით ისარგებლა 8 ორგანიზაციამ.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 3734,80 ლარი

17.„ ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება /თანადაფინანსება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 25,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შესაბამისი პროფილით მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ინიცირებული ისეთი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

პროექტები არის შეფასების პროცესში.

18. „მარტოხელა მშობელთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია, ქალაქ ქუთაისში მცხოვრები (რეგისტრირებული) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირთა ოჯახების მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების – ელქტროენერგიის, წყალის, ბუნებრივი აირის ღირებულების თანადაფინასება 30 ლარის ოდენობით.

ელექტროენერგია -12 ლარი; ბუნებრივი აირი -15 ლარი; წყალი -3 ლარი.

დახმარებით ისარგებლა 36 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 3030 ლარი.

19. „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში (თავშესაფარში) მყოფი პირის/ოჯახის თავშესაფრის დატოვების შემდეგ ფინანსურ დახმარება.

დახმარებით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 600 ლარი.

20. „საქართველოს „SOS“ ბავშვთა სოფლის“ მიერ განხორციელებული პროექტის – დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 40,0 ათასი ლარი.

დახმარებით ისარგებლა 17 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 4474,86 ლარი.

21. ,,შშმ პირთა საერთაშორისო დღე“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10,0

დაიხარჯა 0 ლარი.

22. ,,გადაუდებელი რეაგირება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 150,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების სერვისი მიეწოდებათ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებულ და ფაქტიურად მცხოვრებ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახებს, რომელთა წევრები საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას.

დახმარებით ისარგებლა 33 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 32 780 ლარი.

23. ,,მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების /ხმოვანი წნევის აპარატი; შაქრის საზომი აპარატი/ შეძენა და სამედიცინო და სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებებში დამოუკიდებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფის მიზნით, პერსონალური ასისტენტის /გამცილებელი/ და ოპერატორის მომსახურება.

დახმარებით ისარგებლა 55 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 1650 ლარი.

24. ,,ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების დახმარება“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 90,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამით სარგებლობენ ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი და მეტასტაზური კიბოს დიაგნოზის მქონე პირები.

დახმარებით ისარგებლა 58 ბენეფიციარმა.

სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 22 400, 0 ლარი.

25. ,,ონლაინ სწავლების პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების განათლების ხელმისაწვდომობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 2,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის მიზანია პანდემიისა და ზოგადი შეზღუდვების პირობებში შეუფერხებლად მოხდეს სოციალურად დაუცველი არასრულწლოვანებისათვის განათლების უწყვეტობისა და ხელმისაწვდომობის მიწოდება. ქვეპროგრამით სარგებლობენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთაგან ოჯახის მინიმუმ ერთი წევრი მაინც არის 6–დან 18 წლამდე, ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 65000–ს. ქვეპროგრამის ფარგლებში ოჯახს დაუფინანსდა ინტერნეტის ყოველთვიური მომსახურება იანვრიდან ივნისის ჩათვლით, თვეში არაუმეტეს 20 ლარისა.

დახმარებით ისარგებლა 6 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 300 ლარი.

26. ,,ფილტვის კიბოს სკრინინგი"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების მქონე, თამბაქოს მომხმარებელი პროფესიული რისკის შემცველ საწარმოებში დასაქმებული და სოციალურად დაუცველი ბენეფიციარების მაღალტექნოლოგიური სამედიცინო კვლევით უზრუნველყოფას.
სულ: დაიხარჯა 0 ლარი.

27. ,,სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 40,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი აბიტურიენტების დამატებითი სწავლება, 2022 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის.
ქვეპროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქ. ქუთაისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სკოლადამამთავრებელი მოსწავლეები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120000-ს.
აბიტუტიენტებისთვის მომსახურების მიწოდებას უზრუნველყოფენ ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და ავტორიზირებული სასწავლო დაწესებულებები.

დახმარებით ისარგებლა 27 ბენეფიციარმა.
სულ: დახარჯულმა თანხამ შეადგინა 14 560 ლარი.

28. ,,ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა შინ მოვლა"

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10,0 ათასი ლარი.
ქვეპროგრამა ითვალისწინებს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ააიპ „კავშირი წამების მსხვერპლთა ფსიქო–სოციალური და სამედიცინო

რეაბილიტაციის ცენტრი–ქუთაისის“ შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები 50 პირისათვის ფსიქიატრიული სერვისების 10 %–იან თანადაფინანსებას.

სულ: დაიხარჯა 0 ლარი.

29. ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 65,0 ლარი

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში არანაკლებ ბოლო ერთი წლის მანძილზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები სოციალურად დაუცველი პირების მიერ ახალშექმნილი ოჯახებისა და ახალშეძენილი შვილიანი ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას.
დახმარებით ისარგებლა 1 ბენეფიციარმა.
დაიხარჯა 500 ლარი.

30. ,,მრავალშვილიანი ოჯახების მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა“

ქვეპროგრამის ბიუჯეტი 60 000 ლარი

ქვეპროგრამა გულისხმობს ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების გაძლიერებას, რომლებსაც აქვთ სურვილი, ან უკვე ეწევიან მიკრო, ან მცირე მეწარმეობას. პროექტების დაფინანსება მოხდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე.. თანხა ბენეფიციარებზე გადანაწილდება პროექტის ღირებულებისა და თანაფარდობის პრინციპით.

დაიხარჯა 0 ლარი.

31. ,,ახალი კორონავირუსით (Covid 19) ინფიცირებული პირთა დახმარება“

ახალი კორონავირუსით (Covid 19) ინფიცირებული პირების სამედიცინო დახმარება. პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ქ.ქუთაისში რეგისტრირებული, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 70000 სარეიტინგო ქულის მქონე, კორონავირუსგადატანილი ბენეფიციარები. პროგრამა ითვალისწინებს ახალი კორონავირუსის გადატანის შემდგომ მე-14 დღიდან ლაბორატორიული კვლევების (კოაგულოგრამა, D-დიმერი, C-რექტიული ცილა) დაფინანსებას 80 ლარის ფარგლებში. დახმარება გაიცემა ერთჯერადად, სამედიცინო მომსახურების მიღებამდე.

დაიხარჯა 0 ლარი.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება

2022 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე შეფასებულია 39 ბავშვიანი ოჯახი -103 ბავშვი. ვერ შეფასდა 1 ოჯახი (ბენეფიციარი აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობს).

გადაუდებელი რეაგირების პროგრამის ფარგლებში შეფასდა 12 ბავშვიანი ოჯახი, სკრინინგი ჩაუტარდა 30 ბავშვს, მეორე დონით შეფასდა 2 ოჯახი - 4 ბავშვი;

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოდან შემოსული შეტყობინებით შეფასდა 9 ბავშვიანი ოჯახი - 11 ბავშვი, მეორე დონით 3 ბავშვიანი ოჯახი - 11 ბავშვი; თვითმმართვის საფუძველზე 3 შეფასდა 3 ოჯახი - 6 ბავშვი, ცხელი ხაზის შეტყობინებით შეფასდა 1 ოჯახი - 1 ბავშვი.

<u>მოწყვლადი ჯგუფები:</u> მრავალშვილიანი ოჯახები-შეფასდა 10 ბავშვიანი ოჯახი - 40 ბავშვი.

მამუკა რიჟამაძე: წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით კითხვები თუ არ არის გთხოვ ხელის აწევეთ მოვიწონოთ.

კომისიის ყველა წევრმა ერთხმად მოიწონა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსის 3 თვის ანგარიში ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების მიმდინარეობის შესახებ.
მამუკა რიჟამაძე: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს წარმოგვიდგენს ქალბატონი თამარ მინაძე

თამარ მინაძე: ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 თებერვლის N160 დადგენილებით დამტკიცებული, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის მიხედვით დადგენილია თავშესაფრის უზრუნველყოფის პროცედურები და კრიტერიუმები. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 28 თებერვლის N528 ბრძანებით შეიქმნა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისია. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის №2228 ბრძანებით დარეგისტრირებულია ბინის მაძიებელი 251 ოჯახი, 2 უპირობოდ შესასახლებელი და 25 მიუსაფარი პირი. შესაბამისი ეტაპების დასრულების შემდეგ კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით განხორციელდა ოჯახების (70 ოჯახი და 11 მიუსაფარი პირი) ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქ. №40გ-ში მდებარე ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე არსებულ, სოციალურ საცხოვრისის შენობაში განთავსება. სოციალურ საცხოვრისში ფართის გამოთავისუფლების შემთხვევაში, შესახლებას ექვემდებარება რიგითობის მიხედვით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ უსახლკარო სტატუს მინიჭებული ოჯახები.

რაც შეეხება 2018-2021 წლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ბინის მაძიებელთა მომართვიანობას, გაცნობებთ შემდეგს:

2018 წელს-143 ბინის მაძიებელი;

2019 წელი-124 ბინის მაძიებელი;

2020 წელი-109 ბინის მაძიებელი;

2021 წელი-180 ბინის მაძიებელი;

2022 წელი-დღემდე 55 განცხადება;

სამწუხაროდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე საცხოვრებლად უსაფრთხო და ვარგისი ფართის არ არსებობის გამო მათი განცხადებების დაკმაყოფილება დღემდე ვერ ხერხდება.

ამჟამად ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარეობს სოციალური საცხოვრისის პროგრამის მეორე ეტაპი.

კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 113-ე მუხლის, სსიპ- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს 2019 წლის 20 აგვისტოს №1/1-3746 ბრძანებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, დამატებითი ქონების სახით, გადმოეცა ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას №12-ში, მდებარე 1074.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა ნაგებობა (ს/ კ 03.05.04.132;).

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული შენობა, სათანადო ადაპტაცია-რეაბილიტაციის შემდგომ გამოყენებული იქნას ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა საცხოვრისთან დაკავშირებული საკითხის მოსაგვარებლად.

რაც შეეხება საკითხს, ენიჭებოდა თუ არა პრიორიტეტი შშმ პირებს/ მათ ოჯახის წევრებს, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული საკითხი რეგულირდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 თებერვლის N160 დადგენილების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო
პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ მე-4 მუხლით. ამჟამად სოციალურ საცხოვრისში არის 38 შშმ პირი.

მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე ვაწარმოებთ ბინის მაძიებელთა ერთიან ბაზას, როგორც მატერიალური ასევე ელექტორნული სახით. შემოტანილი განცხადებების განხილვა ხდება ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის სხდომებზე. აღნინშული ინფორმაციის გაზიარება ხდება პერიოდულად სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის სრულად, გამომდინარე იქედან, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელი შეყვანილია ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის შემადგენლობაში.

ამჟამად ნიკეას ქ. 40ბ-ში არსებულ სოციალურ საცხოვრისში ირიცხება და დროებით სარგებლობის უფლებით ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 71 ოჯახს.

(დაახლოებით 300 სოციალურად დაუცველი მოქალაქე, აქედან 100-მდე არასრულწლოვანი). სულ შენობაში ირიცხება 80 (ერთოთახიანი და ორ ოთახიანი) საცხოვრებელი ფართი. ასევე არის მამაკაცთა საერთო საცხოვრებელი, საერთო სარგებლობის ოთახი, გადაუდებელი აუცილებლობის დროს ე.წ ღამის გასათევი ფართი.

სოციალურ საცხოვრისთან უახლოეს მანძილზე არის განთავსებული სკოლა, ბაღი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, მე-4 პოლიკლინიკა, ნიკეას ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, იმერეთის სამხარეო დეპარტამენტის პოლიციის მე-4 განყოფილების შენობა, აფთიაქი. მხოლოდ მადლიერების სახლში გადასაადგილებლად ჭირდებათ საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა, სადაც ასევე მგზავრობის გადასახადებზე დაწესებული აქვთ გარკვეული შეღავათები.

ქალაქ ქუთაისში, ნიკეას ქუჩა N40ბ -ში არსებული სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის ხარჯები ზამთრის პერიოდში (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი და ზოგ შემთხვევაში მარტის თვეშიც) ანაზღაურდება ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრული ლიმიტების /1 ოთახიანი-60 ლარამდე, 2 ოთახიანი-80 ლარამდე, 3 ოთახიანი-100 ლარამდე/ შესაბამისად, ხოლო ლიმიტის ზევით მოხმარებული ელ.ენერგიის დავალიანების დაფარვა ხორციელდება უშუალოდ საცხოვრისის მობინადრეთა მიერ. ასევე წელიწადში ერთხელ მერიის სარეზერვო ფონდიდან თითოეული ოჯახი საჭიროებისამებრ იღებს მატერიალურ დახმარებას. გარდაცვალების შემთხვევაში ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ ხდება საფლავისა და სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

რაც შეეხება სოციალური საცხოვრისიდან გამოსახლების ფაქტებს, იძულებით გამოსახლების შემთხვევა დღემდე არ დაფიქსირებულა. თუმცა, რამდენიმე ოჯახი, რომელიც არ ცხოვრობდა სისტემატიურად სოციალურ საცხოვრისში და ბინა ჰქონდათ მუდმივად დაკეტილი წერილობითი და სიტყვიერი გაფრთხილების შედეგად იძულებული გახდნენ ჩაებარებინათ მერიის შესაბამისი სამსახურისათვის საცხოვრებელი ფართი თავისუფალ მდგომარეობაში და გამოთავისუფლებული ფართები ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომიიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაეთმო მომლოდინეთა სიაში მყოფ ბენეფიციარებს. ასევე, კონკრეტული ბენეფიციარისა თუ ოჯახის სოციალური საცხოვრისიდან გასახლების საკითხი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიამ შესაძლებელია განიხილოს სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები 2/3-ზე მეტი ოჯახის ერთობლივი წერილობითი მომართვის საფუძველზე. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის მიერ გასახლების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, მობინადრე ვალდებულია ერთი თვის ვადაში დატოვოს სოციალური საცხოვრისი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 თებერვლის № 160 დადგენილების მე-5 მუხლის მეექვსე პუნქტის შესაბამისად დროებითი საცხოვრებელი ფართების არსებული რესურსის შესაბამისად კომისიის გადაწყვეტილებით სულადობის მატების გამო, რამდენიმე ოჯახის მიმართ ადგილი ჰქონდა ფართის მონაცვლეობას.

ოჯახური ძალადობა და კონფლიქტის შემთხვევებიც დაფიქსირდა, რაზედაც პოლიციის მე-4 განყოფილების თანამშრომლებს ჰქონდათ მყისიერი რეაგირება. შესაბამისად, სტატისტიკას და კონკრეტიკას მსგავსი შემთხვევების მოგაწოდებთ განყოფილების უფლებამოსილი თანამშრომლები.

სოციალურ საცხოვრისს აქვს შინაგანაწესი. შინაგანაწესით დადგენილი წესებისა და ნორმების დაცვის ვალდებულება ეკისრება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიის გადაწყვეტილებით შესახლებულ სოციალური საცხოვრისის ყველა მობინადრეს.

სოციალურ საცხოვრისში არჩეული არის ე.წ ბინის წარმომადგენელი. სოციალური საცხოვრისის წარმომადგენელის არჩევა ხდება სოციალური საცხოვრისის მცხოვრებთა მიერ, რომლის მიზანსაც წარმოადგენს სოციალური საცხოვრისის მობინადრეებთან აქტიური თანამშრომლობა, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების დროული ინფორმირება ბენეფიციართა პრობლემატური საკითხების შესახებ და მობინადრეებს გაუწიოს დახმარება სამეზობლოში კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბების მიზნით. სოციალური საცხოვრისის თითოეული მობინადრე მოვალეა პატივისცემით მოეკიდოს საცხოვრებელი ბინის წარმომადგენლის ვალდებულებების შესრულებას და ითანამშრომლოს მასთან შინაგანაწესით გათვალისწინებულ საკითხებზე.

სოციალურ საცხოვრისში მყოფ ბენეფიციართა მიერ შინაგანაწესის დაცვაზე, აგრეთვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილება ენიჭება ქუთაისის მუნიციპალიტეტის სოციალურ საცხოვრისში შესახლებული ბენეფიციარი ოჯახების შერჩევისა და სოციალური საცხოვრისის შემდგომი მონიტორინგის განხორციელების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს/კომისიას. მობინადრეთა მიერ სოციალური საცხოვრისის შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში მონიტორინგის ჯგუფის მიერ დგება შესაბამისი გაფრთხილების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის წევრები, ბინის წარმომადგენელი და უშუალოდ მობინადრე. ხელის მოწერაზე უარის შემთხვევაში წერილობით ფიქსირდება უარის მიზეზი და განსხვავებული აზრი თან დაერთვება გაფრთხილების აქტს. ზედიზედ ორჯერ სოციალური საცხოვრისის შინაგანაწესის უხეშად, თანაცხოვრებისათვის მიუღებელი ქმედებისა და ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით

უზრუნველყოფის კომისიას წარუდგენს წინადადებას ბენეფიციარის საცხოვრისიდან გამოსახლების შესახებ.

რაც შეეხება პანდემიის პერიოდს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით არაერთხელ მოხდა შენობის დამუშავება შესაბამისი ხსნარებით, გამოიკრა შენობის სტენდებზე საინფორმაციო ბუკლეტები და მოხდა უშუალოდ მოსახლეობის ინფორმირება ვაქცინის შესახებ და რა უნდა გაეკეთებინათ დაინფიცირებისაგან თავის ასარიდებლად. დაინფიცირების შემთხვევების დროს რამდენიმე ოჯახს გაეწია როგორც ფინანსური ასევე მედიკამენტების მხრივ სათანადო დახმარება. დღეის მდგომარეობით აცრილია 27 ბენეფიციარი.

განხორციელდა თუ არა საცხოვრისის უსაფრთხოებისა ან/და მათი საცხოვრებლად ვარგისიანობის შესწავლა, როდის და ა. შ მოგახსენებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მერის ბრძანებით შექმნილია კომისია სოციალურ საცხოვრისში არსებული დეფექტების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების ნუსხის შემუშავების მიზნით. ამასთანავე ქ. ქუთაისში, ნიკეას ქ. N40გ-ში არსებული შენობის რეაბილიტაციისათვის ჩატარებული სამუშაოების კანონშესაბამისობის თაობაზე მიმართვები წარდგენილია ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და საგამოძიებო პროცედურები ხორციელდება შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სოციალური საცხოვრისის მობინადრეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება სათანადო დასკვნების წარმოდგენამდე სამწუხაროდ შეუძლებელია.

მამუკა რიჟამაძე: წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით კითხვები თუ არ არის გთხოვ ხელის აწევით მოვიწონოთ.

კომისიის ყველა წევრმა ერთხმად მოიწონა ანგარიში სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარების რაოდენობის და მათი შესახლების შესახებ.

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა დაასრულა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე
მამუკა რიჟამაძე